№ 294. სამშაბათი, 25 აგვისტო 1896-1897 სამშაბათი, 25 აგვისტო № 294.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ იპირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

6

342

ხელის-მოწერა
„ცნობის ფურცელზე“
რედაქციის გარდა მიიღება
ექ. ხელაძის სტამბის კონტორაშიაც
იქვე მიიღება მსურველთაგან განცხადებანი

„ბანკის ბაღი“
სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო მამულში

დღე მუდამ საყოველთაო სეირნობა

ყოველ საღამოს იმართება მომღერალთა გუნდის კონცერტები, სახუმარო სცენები, ცეკვა-თამაში, სიმღერები და სხვა.

მომღერალთა დასი შესდგება შემდეგის არტისტებისაგან; აივაზიანი, დოცენკო, პროცენკო, ბოლიანსკი, ჩისტიაკოვისა, სულდინისა, კარლიჩენკო დასხ. მრავ. სიმღერებს და სცენებს ასრულებენ შესაფერის ტანისამოსებით.

დირექცია შვამისა

საღამოობით ბაღში უკრავს საზანდარი დღისით შუადღიდან 4 საათ. სამხედრო მუსიკა. სეირნობა და დროს გატარება იწყება საღამოს 9 საათიდან.

ბაღში შესვლის ფასი 20 კაპ.

ბაღთან გამართულია
მშვენიერი ბუფეტი და რესტორანი
საჭმელ-სასმელი საგანგებოა, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ევროპიული. საჭმელები მზადდება განსაკუთრებით კარაქზე

სადილი 4 კერძი, არაყი, ნახევარი ბოთლი. ღვინო და ყავა . . . . 1 მან.
— 2 კერძი, არაყიდა ბოკალი ღვინო ღირს . . . 50 კაპ.

როტონდები, აუზები და კერძო ხეივნები. !!მიიღება შეკვეთა დიდ სადილ-ვახშმებზე იაფ ფასად!!

ბაღში იყიდება იაფად ყოველნაირი ყვავილები, თაიგულები და სხვა.

იქვე გამართულია სამი ფრეიბერგის ბილიარდი.

ფასი ყველაფერზე ზომიერია.

ბაღის პატრონი გ. ნ. სხირტლაძე.

„БАНКОВСКІЙ САДЪ“
Ежедневное развлеченіе
Хоръ, пѣвицы, пѣвцы, танцы куплеты и прочъ.
Военный оркестръ и сазандари.
РОСКОШНЫЙ БУФЕТЪ
образцовая кухня, провизія свѣжая
Цѣны на все умѣренныя.

(10—10)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ფიცრის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქნები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
ბაღლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 ადლიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.

ფასი მასალებისა მეტად იაფია

უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*

ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. 300—193)

ილია დემეტრაშვილის
საპარიკმახერო
სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა

გამართე ახალი საპარიკმახერო, სადაც ყოველ დღე მსურველთ შეუძლიანთ გაიკრიჭონ და გაიპარსონ.
სისუფთავე და სიწმინდე საგანგებოა
ხელოსნები დახელოვნებულნი არიან პარსვა-კრეჭაში
თავის დაბანვა სუნნელოვანის წყლით
იქვე რეცხენ ხელთათმანებს
!!ფასი ყველაფერზე იაფია!!

НОВАЯ ПАРИКМАХЕРСКАЯ
И. Деметрашвили
Дворцовая, д. Грузинск. Дворянства.
(15 - 9) საზოგადოების პატივისმცემელი ი. დემეტრაშვილი.

1897
ქართული თეატრი
სათავად-აზნაურო თეატრში
ოთხშაბათს, 27 აგვისტოს,
ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ,
გ-ნ ვასო აბაშიძის რეჟისორობით
წარმოდგენილ იქნება:
I
ციმბირელი
კომედია 4 მოქმ. ა. ცაგარლისა.
II
დივერტისმენტი
სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს გრ. აბაშიძე.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. დარ. ციციშვილი, საყვარელიძე, ვაშაკიძე, და სხვ.; ბბ. სვიმონიძე, მესხი, იმედაშვილი, გოციროძე, შველიძე, ხოსროევი, ჯაფარიძე და სხვანი.

დასასრულ ლეკური, ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8½ საათზე.
რეჟისორი გ. აბაშიძე.

ქალ-ვაჟთა სასწავლებელი
ელენე ბახტაძისა
დ. ხონში
საკუთარს სახლში, ბაღის პირდაპირ.
სასწავლებელი ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.
წლიური გარდასახადი 20 მან.
(5—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. ჰ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით

ა. მ. პუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ყმაწვილი კაცი
ეძებს სამუშაოს: ამზადებს საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასების მოწაფეებს; იღებს სავაჭრო კანტორების სამუშაოს, რუსულ და ქართულ ნაწერების გადაწერას და სხვ. პირობების შეტყობა შეიძლება „ცნ. ფურც.“ რედაქციაში 10—1 საათამდე დღისით პირადათ და წერილობით ყოველ-დღე.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავად მყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე.
შინაგან და ნერვების ავადმოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზერრატი.
დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ზ თოფურია.
Лѣчебница *С. З. Топурія* въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

23 აგვისტო.

ვარშავა. ვარშავის სიმაგრეთა დათვალიერების შემდეგ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ სამხედრო საავადმყოფოში. საუზმის შემდეგ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ კათოლიკეთა წმ. ალექსანდრეს ეკკლესიაში, სადაც მიეგებნენ მთავარ-ეპისკოპოსი პოპელი ეპისკოპოსებითა და სამღვდელოებითურთ. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა ხელმწიფე-დედოფალს და ქალები ყვავილებს უფენდნენ. ეკკლესიიდან მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ საქალებო ინსტიტუტში და შემდეგ საოფიცრო საავადმყოფოში და აქედან ინახულეს სავაჟო კლასიკური გიმნაზიები. საღამოს შვიდ საათზედ ლაზენკის სასახლეში სადილი იყო გამართული. სადილის შემდეგ მეფე-დედოფალი წაბრძანდნენ წარმოდგენაზე დიდს თეატრში. თეატრში შესვლისთანავე ყველანი ზეზე წამოდგნენ და ორკესტრმა საერო ჰიმნი დაუკრა, ხალხი „ურას“ ყვიროდა.

ქალაქი გაჩირაღდნებულია. უთვალავი ხალხი ქუჩა-ქუჩა დგას და ელის ხელმწიფის ნახვას.

სტამბოლი. რვა სომეხს გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დასჯა; ორი კი გამართლებულა

ჰამბურღი. იტალიის მეფე-დედოფალი აქ ჩამობრძანდნენ, ვაგზალზე დაუხვდნენ გერმანეთის მეფე-დედოფლი და პრინცი ალბერტი.

ბერლინი. „ფრანკფურტის გაზეთი“ ამტკიცებს, რომ პრინცი უელისა წელს არ მივიდა ჰამბურგის წყლებზე სამკურნალოდ მიტომ, რომ მოწვეულ არ იყო ჯარის დასათვალიერებლადო. ხოლო ამის მიზეზი ის არის, რომ ინგლისმა არ მოიპატიჟა იმპერატორი ვილჰელმი დედოფლის ვიქტორიის დღესასწაულზე პირადად დასასწრებლადო.

ლონდონი. ოფიციალური ცნობებიდან სჩანს, აფრიდიებმა დიდ-ძალი ჯარი მოზიდესო. კოხატის ჯართა უფროსმა გაგზავნა რჩეული ჯარი სადში. აფრიდიებნი, როგორც ისმის შეერთებულან ორაქსაიძნებთან და საერთოდ აპირებენ თავს დაეს-

ხან სამანს და განგს. ლორდ გამილტონმა გაგზავნა ძლიერი ჯარი ტირახის მთებში, რომელიც აფრიდიების სიმაგრედ ითვლება.

24 აგვისტო.

ვარშავა. 23 აგვისტოს მათი უდიდებულესობანი დიდის მთავრებით ვლადიმერ და პავლე ალექსანდრეს ძეთი და მიხეილ ნიკოლოზის ძით ვარშავიდან გაემგზავრნენ. მათს გასაცილებლად შეიკრიბნენ ყველა დიდებულნი და დიდძალი ხალხი. დილას 9 საათზედ მატარებლით წაბრძანდნენ ბელოსტოკისაკენ დიდს ალლუმზე.

ბელოსტოკი. მათი უდიდებულესობის მოსვლამდე ქალაქი ბაირაღებით მოირთო. სადგურზე ელოდნენ გზათა მინისტრი, გუბერნატორი, თავად აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის თავი და სხვა მრავალი დეპუტაცები. საღამოს 5 საათზე მობრძანდნენ მათი უდიდებულესობანი. ხალხის აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არა აქვს. სადგურიდან მეფე დედოფალი წაბრძანდნენ გრაფი რიდიგერის სადგომში, სადაც ბინა აქვთ დანიშნული.

სოფია. უეჭველია, რომ თედოროვი საფინანსო სამინისტროს იკისრებს, ტოტიევი—საიუსტიციოს, ვიაზოვი სახალხო განათლებისას და ველიჩკოვი ვაჭრობისას.

სიმლა. ინდოსტანის ადგილობრივთა სახელმწიფოთა მეფეთა და მთავართა თავიანთი ჯარი მისცეს ინგლისის მთავრობას აჯანყებულთ საწინააღმდეგოდ.

ახალი ამბავი

⁂ **თეატრის მოთხოვნილება დაბა სოფლებში და მისი სარგებლობა.** ხშირად ამოვიკითხავთ ხოლმე ამ ბოლოს დროს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში პროვინციიდამ მოწერილს ამბებს ქართული წარმოდგენების შესახებ. მოთხოვნილებამ თეატრისამ იმატა და ხშირადაც იმართება ხოლმე დაბა-სოფლებში ქართული წარმოდგენები, რომლებსაც ხალხი სიამოვნებით ესწრება. უეჭველია სოფელი, სიამოვნებისა და დროს გატარების გარდა, გონებრივსა და სულიერსა საზრდოსაც ჰპოვებს თეატრში. თუ სკოლა სწავლას და განათლებას იძლევა, — თეატრი და მუსიკა კაცის გონება და გრძნობაგონების განმავითარებელია, სუსტის მხარის გამასწორებელი და სიბოროტის მგმობელია, ყოველისავე პატიოსნურისა და კეთილის მთესველი და მქადაგებელი იდეალებისა და ამიტომ არ შეგვიძლიან დიდის პატივის ცემით არ მოვეპყრათ ყველა იმათ, ვინც პროვინციებში თეატრის საქმეს ემსახურება და ხელს უწყობს თავისის შრომით.

დაბა სამტრედიიდამ გვატყობინებენ, მაგ., რომ იქ ამ ზაფხულს რამდენჯერმე გაუმართავთ ქართული წარმოდგენა და ხალხი ბლომად დასწრებია და მეტად ნასიამოვნებიც დარჩენილა. გვატყობინებენ აგრეთვე, რომ იქაურს ახალგაზდა ქართველებს ბ. გოჩა ჯიხაიშელის თაოსნობით განუძრახავთ შეადგინონ სამუდამო დასი დრო გამოშვებით ქართულის წარმოდგენების გასამართავად. ეჭვი არ არის, თუ გულ მოდგინედ და ბეჯითად მოჰკიდებენ ხელს ამ საქმეს, კეთილს განზრახვას მალე განახორციელებენ და სწორედ დიდს სამსახურსაც გაგვიწევენ ხალხის გონებრივად განვითარების საქმეს.

ფრიად სასურველია, რომ სამტრედიასთან ერთად საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებშიაც დაარსდეს სცენის მოყვარეთა მუდმივი წრე და ამხანაგობანი ქართულის წარმოდგენების გასამართავად, მაგ: გორში, თელავში, სიღნაღში, სურამში, ოზურგეთში, ახალ-სენაკში, ზუგდიდში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ბათომში, ფოთში და სხ. ყველა ამ ადგილებში და სხვა და სხვა დაბა-სოფლებში ადვილად შეიძლება ხშირად გაიმართოს ქართული წარმოდგენები: ადგილობრივი მკვიდრნი ქართველნი ყოველგან იმოდენია, რომ დასიც ადვილად შესდგება და თეატრში მოსიარულენიც მუდამ ბლომად იქმნებიან, მხოლოდ საჭიროა, ვიმეორებთ, გულ მოდგინე, ბეჯითი და ფხიზელი შრომა ამ სასარგებლო და და სასიქადულო ასპარეზზე და ყოველივე შრომა და ხარჯი ბოლოს ერთი-ათად დაუბრუნდებათ საქმის მოთავეთა. ამას გარდა ხსენებულნი პირნი ტფილისის და ქუთაისის სამუდამო სცენასაც დიდ სამსახურს გაუწევდნენ ახალ მსახიობთა მოწყობით. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლოს მომავალში ქართული თეატრის საქმე ისეთ დონეზე დადგება, რომ მას ადვილად შეეძლება რჩენა და კვება ნიჭიერთა მოთამაშეთა და ბევრი ახალ გაზდა ქალი თუ ვაჟი გაიჩენენ „საქმეს“ და ცხოვრების სახსარსაც.

კოწია.

⁂ **დ. კეზელის ახალი „საქმე“.** ცნობილის „დევ-გმირის“ დ. კეზელის საქმე აზნ. შაბურიშვილის მკვლელობაზე, როგორც მკითხველებმა უწყიან გაირჩევა ქ. დუშეთში ენკენისთვის 4-ში ტფილისის საოლქო სასამართლოს განყოფილებაში.

ეხლა, თურმე, ახალი, კიდევ ერთი მეტი, საქმე შემდგარა. შარშან დ. კეზელს ორი ნაჭერი მიწა უყიდნია საშაბუროს გლეხებისაგან, შიო, გიგო, მიხა და სვიმონ ოცდიშელიძეთაგან. შეუკრავთ ნოტარიული პირობა და ზედ ექვსი თუმანი მიუცია, ხოლო კიდევ ოთხი თუმანი უნდა მიეცა ენკენისთვის 21-ში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმა უნდა გადაეხადნა ოცდა ათი თუმანი, ან თუ გლეხები უარს იტყოდნენ, გლეხებს უნდა ეზღოთ ეს ჯარიმა დ. კეზელისათვის. დაპირებულ ვადაზე გლეხებს რაკი ფული არ მიუღიათ კეზელისაგან, პირობა დარღვეულად უცვნიათ, ჯარიმას არ გამოკიდებიან და მიწის გაყიდვა მოუნდომებიათ სხვაზე. ამ დროს გლეხების მიწა დ. კეზელს შეუკრავს, გლეხებს, რა თქმა უნდა, გაჰკვირვებიათ ეს ამბავი და საქმის გამოსარკვევად მიუმართავთ სასამართლოსათვის, სადაც მათთვის უთქვამთ: პირობა კეზელს-კი არა თქვენ დაგირღვევიათ, რადგან ოთხი თუმანი უკვე მიგიღიათ კეზელისაგანო, ამიტომ მიწაც კეზელს ეკუთვნის და ზედ მეტი სამასი მანათი ჯარიმა უნდა გადაიხადოთ კეზელის სასარგებლოდაო.

გლეხები გაოცებულან: ჩვენ ოთხი თუმანი-კი არა, ოთხი გროშიც არ მიგვიღია კეზელისაგანო. როგორ არ მიგიღიათ, როდესაც პირობაზე ხელი გიწერიათ 40 მ. მიღებაზეო არა, ბატონო ჩვენ პირობა თვალითაც არ გვინახავს, პირობა ჩვენცა გვაქვს და შიგ არა გვიწერია-რა ხვედრი 40 მ. მიღებაზეო. ეხლა ალახმა უწყის ვინ არის მართალი. გლეხებს უთხოვნიათ, საქმე გამომძიებელს გადაეცით, დეე გამოიკვლიოს და ჩვენი ალალ-სიმართლე დაამტკიცოსო. ეს ახალი საქმეც დანიშნულია ენკენისთვის 22-ში და ვნახოთ რით გათავდება ეს „საქმე“.

⁂ **იუნკერთა ჩამოსვლა.** გუშინ ტფილისში ჩამოვიდნენ ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის მოწაფენი დ. სურამიდამ, სადაც ისინი საგარაკოთ იყვნენ წასულნი ამ ზაფხულს.

⁂ **ვაზის წამალი გოგირდის ნახშირმბადი.** სტაროსელსკი ატყობინებს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს, რომ მან მიიღო ოდესის საფილოქსერო კომიტეტისაგან 600 ფუთამდე გოგირდის ნახშირმბადი, აქედამ ნახევარი სოფელ დირბში გაგზავნა ფილოქსერიანი ადგილებისათვის, დანარჩენი-კი მოხმარდება სურამის ნაწილის დასავლეთ მხარეს.

⁂ **ბათომის ახალ გიმნაზიაში** აგვისტოს 17-მდე შეტანილია 116 მისალები თხოვნა პირველ მოსამზადებელ კლასში, 49 (ებრაელებისაგან 7, კათოლიკებისაგან 3, პროტესტანტებისაგან 3, სომხებ. 1, მართლმადიდებლებისაგან 36). პირველ კლასში 41, (ებრაელებისაგან 2, სხვა სარწმუნოებისაგან 3, მართლმადიდებელთაგან 36) მეორე კლასში 26 მართმადიდებ., 15 დანარჩენი სხვა სარწმუნოებისა; მთხოვნელებში ქუთაისის გიმნაზიელ-პროგიმნაზიები 14, ტფილისისა 7, ტფილისის რეალურ სასწავლებლიდამ 2, განჯის გიმნაზიიდამ 1.

⁂ **სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ჩამოსვლა კავკასიაში.** ა. ს. ერმალოვი, მინისტრი სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობისა, პეტერბურგიდან გამოემგზავრა ასტრახანისკენ და აქედამ კავკასიაში ჩამოვა.

⁂ **ახალი დანიშნულება.** გორის მაზრის უფროსის თანაშემწე პორუჩიკი არნოლიდი დაინიშნა ბორჩალოს მაზრის უფროსად.

⁂ **კავკასიის მთავარ-მართებელი** გენერ. ად. თავ. ბ. ს. გოლიცინი

კახეთის რკინის გზა და მისი ცრუ-ჭირისუფალნი.

ბ-ნო რედაქტორო! ამ ზაფხულს თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით ჯერ მეორედ დამწამეს ცილი, რომლის თავიდამ ასაცილებლად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში. დარწმუნებული ვარ თქვენ, ბ-ნო რედაქტორო, ისეთივე თვალით უყურებთ ცილის-წამებას, ისეთივე აზრისა და შეხედულებისა ხართ ცილის-მწამებელზედ, როგორც ყოველი კეთილ-შობილი და ზნეობრივ სპეტაკი ადამიანი. მჯერა, რომ ბეჭდვითი სიტყვა იმ საშუალებათ მიგაჩნიათ, რომლითაც უნდა ვრცელდებოდეს ხალხში ჭეშმარიტი, საღი, გონივრული შეხედულება და მსჯელობა ყოველ საკითხზედ და მთავარი მიზეზი თქვენგან ამ მეტად დიდის მოვალეობის კისრად აღებისა — გაზეთის გამოცემისა, დასახელებული მისწრაფება იყო, არის და იქნება. ყველამ იცის, ნივთიერი მხარე გაზეთის გამოცემისა ჩვენში რამდენად იმზიდველია, რას აძლევს თვისს გამომცემელს და მაცოცხლებელს! ვიცით, რომ თქვენსას ზედ აცხონებთ ამ გამოცემას და თქვენიც რომ არა ყოფნით, ვალსა და ვახში ჰვარდებით. ყველა ამას ჰკისრულობთ მარტო იმისთვის, რომ სამშობლოს ემსახუროთ, გზა გაუნათოთ, რამდენადაც გზის განათებას შესძლებს თქვენი ლამპარი.*) თქვენდა უნებურად, თქვენდა დამოუკიდებლივ თქვენის გაზეთის საშუალებით ზოგნი არღვევენ თქვენს მთავარს მისწრაფებას: ჭეშმარიტის და საღი, გონივრულის შეხედულების და მსჯელობის მაგიერ ავრცელებენ ჭეშმარიტებას და საღ გონივრება მოკლებულს შეხედულება-მსჯელობასა, ცილის-წამებასა, ცრუსა და დამახინჯებულს ამბებსა. რასაკვირველია, ამ მდგომარეობაში მარტო თქვენი გაზეთი არ არის, მარტო თქვენი გაზეთი არ გაუხდიათ ამ ნაირ საშუალებად, სხვებში უფრო მეტსა ვხვდებით, ზოგი მათგანი მარტო ცილის-წამების ბუდედ გადაქცეულა და მარტო ველურ სისხლის-ძიების გზას დასდგომია, მაგრამ საქმე იმაშია, რამდენად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ეს ახალი, უკანასკნელ ექვსშვიდ წელიწადში გაზრდილი და გაღონიერებული მოვლენა ბეჭდვითი სიტყვის უკუღმართად ხმარებისა. მართალია, ყველა ხალხის ბეჭდვითი სიტყვა სხვა-და-სხვაობს, აზროვნების ფერადია, მაგრამ იქ ფერადობა ბეჭდვითი სიტყვისა წარმომავლობს მსჯელობის სხვა-და-სხვაობისაგან, განსაკუთრებით ძველისა და ახალის შეჯიბრებისაგან, ნამყოსა და აწმყოს ერთ-ურთთან ბრძოლისაგან; იქ აზრი აზრს ეჯიბრება, მსჯელობა მსჯელობასა, ორივე მხარე საბრძოლველად ხმარობს ცოდნასა, ჩვენში-კი უწყებული აზრის დასასაბუთებლად ცნობიერი მოსაზრების მაგიერ ცილის წამებასა ხმარობენ; ან კიდევ უწყებული დაწესებულების ნამდვილს მდგომარეობას ჰმალავენ, გაჭირებას, საქმის უკუღმართად მსვლელობას ხელს აფარებენ, გამოგონილი ამბით ალამაზებენ და ერთ-ურთს აქებენ, ან კიდევ, ვისიმე სასიამოვნოდ ან საწყენად, ყოფილს ცხოვრების მოვლენასთან აცნობენ, ისე-კი არა, როგორც ყოფილა, სრულიად დამახინჯებით: თუ ვისიმე სასიამოვნოდ იწერება, საზიზღარიც საქებარი გახდება, თუ საწყენად, საკენად იწერება, საქებარი და ყოველი ღირსებით შემოსილი საზიზღრად შეიცვლება. თქმა არ უნდა, რაც უნდა ნიჭიერი რედაქტორი იყოს, არ შეუძლიან ასცდეს ამ სამში რომელსამე, თუ-კი უმრავლესობა თანამშრომლებისა ზემორე აღნიშნული მიდრეკილებისა იქმნება. რა ქმნას რედაქტორმა? ტფილისიდამ არც ხელი გაუწვდება და არც მხედველობა იმ ადგილებამდის, საიდამაც რედაქციას აწვდიან ცნობებსა. ერთი შეუძლიან რედაქციას და ეს ერთიც დიდს შრომას თხოულობს უიმისოდაც შრომით დატვირთულს რედაქციისაგან. შესაძლებელი არის, თუ ვისიმე წერილში იხსენიება სხვისა უკვე დაბეჭდილი წერილი, რედაქციამ იმ წერილის დასტამბვამდის შეამოწმოს დაბეჭდილ წერილთან, რამდენად გამოთქმული აზრი დასტამბულს წერილზედ ჭეშმარიტებასთან ახლოა. რაკი ცრუ ამბების მთხზელნი და ცილის მწამებელნი გახშირდნენ, გამრავლდნენ, რედაქცია მიჭირვებულია, ეს შრომა იტვირთოს, რომ ააცდინოს გაზეთი ცრუ ამბებსა და ცილის წამებასა, რამდენადაც შესაძლებელია. უამისოდ ბეჭვდითი სიტყვის ღირსება დღე-დღეზე მცირდება და იქნება გაუსწორებელს დამცირების ხარისხამდე მიაღწიოს. ყველა ეს გულს ნადები მოსა, ზრება გამომათქმევინა, ბ. რედაქტორო, პატივცემული გაზეთ „ცნობ. ფურცლის“ 287 №-ში მოთავსებულმა ბ. „ქიზიყელის“ წერილმა, რომელშიაც ჩემზედ ამბობს: «ამას წინედ ვილაც სწერდა სოფლიდამ „ივერია“-ში, იერემიას გოდებით და ქვრივი-კუდ-ბაწარა დედა-კაცის წუწუნით: რისთვის და ვისთვის გაჰყავთ კახეთის რკინის გზა ბაქოსკენო, აბა ის არა სჯობდა, თელავიდამ ბაკურციხისაკენ აებრუნებინათ და გარეთ კახეთისკენ გაეტანათ, მაშინ ხომ საგარეჯოსაც ახლო ექმნებოდა რკინის გზა და ზემო კახელიც ადრე ჩავიდოდა ტფილისშიო. საკვირველია, ღმერთმანი, ნუ თუ ადამიანი ცარიელ-ტარიელი სიტყვით უნდა ლაპარაკობდეს რამ საზოგადო საკითხზედ და იქამდის უცოდინარი-კი იყოს ჩვენი ეკონომიური ყოფა-მდგომარეობისა, რომ მთელს კახეთ-ქიზიყისათვის ეს უდიდებულესი მადლი და სიკეთე ვერ შეიგნოს და დაინახოს“?

მეორე ადგილას იმავე წერილში: „ივერიის № 160-ში ამოვიკითხე ბ-ნ ი. კახელის წერილი, რომელმაც დიდად გამაოცა, რადგანაც, რაც ბ-ნს ნადიკვრელს მიეტევება, ის ი. კახელს არ ეპატივება და მაინც ეს უკანასკნელიც იმასვე იმეორებლაც სამგლოვიარო გულ-ამოსკვნით: აბა რისთვის და ვისთვის უერთებენ ტყუილ-უბრალოდ კახეთის რკინის გზას ბაქოსას და ზემო-კახელებსაც მოკლე გზით არ გაგვიადვილებენ ტფილისში მიმოსვლასაო“. რაც მოყვანილს სტრიქონებში ჩემის პიროვნების შეურაცხებას შეადგენს, მე ამას არ შევეხები, რადგანაც იგი ან ნაყოფია ლიტერატურულ უზრდელობისა, ან ბ-ნს ქიზიყელს რამე პირადობა აქვს ჩემთან და ამის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, ორსავე შემთხვევაში საზოგადო საყურადღებო არ არის. შეურაცხყოფას გარდა შეიცავს ცილის-წამებას და ეს ცილის-წამება შეეხება იმას, ვითომ მე მინდოდეს, რომ კახეთის რკინის გზა ასცდეს ქიზიყს და გაიაროს ბაკურციხეზე. ვითომც ეს სურვილი ჩემი გამომეთქვას გაზეთს „ივერია“-ში წერილით „ვისთვის, ან რისთვის კეთდება კახეთის რკინის გზა“. ხსე-

---

*) და რამდენადაც „ჩვენ-მიერ დამოუკიდებელი გარემოება“ ბეჭვდის ნებას მისცემს,.. დავუმატებთ ჩვენ. რედ.

24 აგვისტოს რკინის გზით გაემგზავრა ერევნის გუბერნიის და ყარსის ოლქისკენ.

⁂ **ქ. სოხუმი** უნიხრო მეეტლეები. ორი წლის წინად აქ არც „დილიჟანსი“, და არც „ფაეტონი“ არ ყავდათ და მიმოსვლა ძალიან გაჭირებული იყო; ეხლა-კი თითქმის 8—,,დელეჟანსია‘‘ და 10—„ფაიტონი“, რომელნიც დადიან ყველა მხრით სოხუმიდან, მაგრამ მაგარი ის არის, რომ მგზავრმა დღეს რომ 50—60 კ. გადიხადოს ერთი გზობისათვის, ხვალ-ზეგ ისევ იმ გზისათვის უნდა მანათი მისცეს!... ხან-და-ხან კიდევ ზედ მეტად მეეტლე მგზავრს კიდეც სცემს და 50 კაპიკის მაგიერ 1 მანეთს ახდევინებს... კარგი იქნება ამ საგანს მიაქცევდეს ყურადღებას, ვისიც ჯერ არს, რათა უვიცი მგზავრი არ იყვლიფებოდეს, შესაფერი ნიხრი დაიდოს ეტლებზე და მგზავრის ,,ცემა-ტყეპის‘‘... ჩვეულებას ბოლო მოეყვეთოს ამიერიდან უკინისამდე!...

— **კაცის დაჭრა.** 17 ამ თვისას, აქ სამწუხარო ამბავი მოხდა: ერთი მთვრალი რუსი შევიდა ერთს სამიკიტნოში და არაყი მოითხოვა, მაგრამ დახლიდარმა არ დაუსხა არაყი, რადგან შეატყო სითვრალე; გაჯავრებული რუსი გარედ ქუჩაში გავარდა, ქვები მოკრიბა და მოინდომა დუქანში ბოთლების გატეხა, მაგრამ იმავე დახლიდარმა, 18 წლის ბიჭმა ნება არ მისცა, და ხელები გაუკავა; ამ დროს რუსმა ცალი ხელით ამოიღო ჯიბიდან ბებუთის მსგავსი დანა და საბრალო ბიჭს მუცელში დასცა!,.. დაჭრილი უგრძნობლად ძირს დაეცა. ექიმი მოიყვანეს და ჰრილობა საშიშოდ ცანო... დამნაშავე პოლიციამ შეიპყრო და ციხეში გაგზავნა.

სპირიდონ-ხან.

⁂ **ს. მეტეხი.** (კახეთი) სოფლის დღესასწაულების გამო. ბევრჯერ წერილა და თქმულა იმ ფრიად საზარალო და სამწუხარო ჩვეულებაზედ, რომელსაც ძველთაგანვე მთელი საქართველო ეწევა. მე მოგახსენებთ საეკლესიო დღესასწაულებზე; თვით მკითხველებსაც საკმაოდ კარგად მოეხსენებათ, თუ რა ფუჭსა და უმნიშვნელო ხარჯს ეწევა თითოეული კომლი გლეხი და აზნაური ტაძრის დღესასწაულზე; სულ რო ცოტა ვიანგარიშოთ, თითოეულს სოფელს საქართველოსას ამ დღესასწაულების წყალობით ასი თუმანი მაინც ედება ვალად. მოიყრიან, ბატონო, თავს და დილიდამ საღამომდე ლოთობენ; საღამოს გავლენ მოედანზე მთვრალები და ღვთის წყალობა რომ უთხრათ, ხელკეტითა თავ-პირს დაგამტვრევენ.

15 აგვისტოს, მეტეხში დღესასწაულობენ ღვთის-მშობლობას; წელს ამ დღეს, ჩვეულებისამებრ, დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა სხვა და სხვა დაბა სოფლებიდამ და დილიდამვე შეიქმნა უთავ ბოლო ლოთობა. საღამოს გალოთებულნი გამოვიდნენ მინდორზე, ვითომ სათამაშოდ, მაგრამ მალე გაიმართა ისეთი არეულობა და ჩხუბი, რომ ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა და ვინ ვისა სცემდა, ღმერთის მეტმა არავინ იცოდა. მოჩხუბართა დასაზავებლად მოიჰრა მამასახლისი, მაგრამ ისიც ძალზედ მთვრალი იყო და უწესობას ზედ უწესობა მიუმატა: ყველას ჰხვდა ლანძღვა-თრევა, ბევრს ისეთებსაც მოხვდა მისი მათრახი, რომლებსაცა არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ჩხუბში. ურიგო არ იქმნება, რომ ასეთს შემთხვევაში მამასახლისი ფხიზელი იყოს ხოლმე და ჩაფრებიცა ჰყავდეს მზად, თორემ, ვექვობთ, მთვრალმა მთვრალი დააშოშმინოს.

მეტეხელი გლეხი.

⁂ **დვაბზუ.** (გურია) მცირე შენიშვნა. „ივერიის“ მე-164 №-ში იყო დაბეჭდილი ფრიად სასიხარულო წერილი, რომელშიდაც პატივცემული ავტორი მოგვითხრობს შემდეგს: ,,3 აგვისტოს აქ (სოფ. დვაბზუში) იყო მაზრის უფროსის მოადგილე ბ-ნი გამრეკელი, წინადადება მისცა საზოგადოებას“, ერთკლასიანი სკოლა ორკლასიანად გადააკეთეთო», შემდეგ დასძენს ბ. ჩემია: ,,საზოგადოებამ უარი განაცხადა შეუძლებლობის მიზეზით‘‘-ო და თანაც ერთ-ერთი ,,მჰერმეტყველის ნალაპარაკი მოჰყავს. ბ-ნი ჩემიას წერილისაგან ის დასკვნა გამოდის, რომ სო. დვაბზუის დაქვეითების მიზეზი მხოლოთ ,,მჰერმეტყველები‘‘ არიან და სხვა არავინ, მაგრამ უნდა იცოდეთ ბ. ჩემია, რომ აქ უსათუოდ წინ აგვეხირება კითხვა: ვინ არიან ეს სიტყვა-პასუხიანები‘‘? აქ ბ. ჩემია, განმარტებს, რომ ყოველ სოფელში არიან ისეთი პირები, რომელთა ,,კი‘‘-სა და ,,არა‘‘-ს დიდის პატივით ღებულობენ და აი, ამათ ჰქვიათ ,,სიტყვა-პასუხიანები‘‘-ო. კარგი, მაგრამ აქ ერთი კითხვაც არის საიდამ გაჩნდნენ ეგ ,,სიტყვა-პასუხიანები‘‘? აქ შეგვიძლიან გადაჭრით ვთქვაო, რომ ,,სიტყვა-პასუხიანები‘‘ს გამჩენი არის უბელადობის (უწინამძღოლობის) შედეგი. ვინ უნდა იყოს სოფლელების წინამძღოლი? ჩემის აზრით: მღვდლები, მასწავლებელნი და ინტელიგენცია. აი ეს სამი წოდება რომ ფხიზლად უკვირდებოდს ხალხის ცხოვრებას, მაშინ ,,სიტყვა-პასუხიანებს‘‘ გავლენა აღარ ექნებათ საზოგადოებაზედ და თავისთავად გაჰქრებიან. მაშ გავიხსენოთ ბ. ჩემია, ქართული ანდაზა: ,,გაუქმებულ ეკკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიან‘‘ო და მაშინ მიხვდებით, არიან თუ არა ზიზღის ღირსნი ეხლანდელი ,-სიტყვა-პასუხიანები‘‘... მაგრამ იმედია, პატივცემული ბ. გამრეკელი სასურველად დააგვირგვინებს დვაბზუის სკოლის საქმეს.

ერთი

⁂ **ს. ფცა** (ქართლი) ყაჩაღების ბრძანება გლეხისა და თავადისადმი. წუხელის სამი შეიარაღებული ოსი მივიდნენ სოფ. ფცაში (გორის მაზრის სურამის ნაწილში). და ერთ გლეხს ოსაძეს მოსთხოვეს ორი თუმანი ფული ეხლავე მოგვეციო, იმას სახლში არა ჰქონდა ეს ფული, წავიდა შუაღამისას თავის მებატონესთან თავ. დათა ბაგრატიონ-დავითიშვილთან და იმისაგან ისესხა ეს ორი თუმანი და გადასცა ოსებს. თუმცა ბევრი უშალეს მეზობლებმა: უარი უთხარი, ნუ მისცემ ფულსაო; მაგრამ გლეხი ამბობდა: მეშინიან და მომკლამენ, თუ ეხლავე არ მივეციო. ამათვე ამ ღამეს დაუბარეს კაცებს, რათა იმათ ვადაეცათ ამ სოფლის მებატონესთვის თავ. დათა ბაგრატიონისათვის, რომ თუთხმეტი თუმანი ფული გამოგვიგზავნოსო, თავადი ძალიან შეშინებულა და ჯერ არ ვიცით გაუგზავნის თუ არა ყაჩაღებს ფულსა. ეს კია, რომ მან მაშინვე დეპეშით აცნობა ბ-ნ გუბერნატორს და მაზრის უფროსსაც.

Ros.

⁂ **ქუთაისი.** ერთი მოშუშხრაკებულ ამბავის გამო. იმ დღეს ,,ტფილისის ფურცლის‘‘ 186 №-ი რომ წავიკითხე, ერთი ძველის-ძველი ამბავი მომაგონდა: ბერძნები—დონაელები—ალყად შემოერტყნენ ქალაქ ტროადს და ცხრა წელიწადი ამაოდ ცდილობდნენ მის აღებას. ბოლოს ერთი რამ ხერხი მოიგონეს: გააკეთეს ერთი უზარ-მაზარი ხის ცხენი, ვითომ ტროადის ღვთაების შესაწირავათ, შიგ ჩასვეს შეიარაღებულნი და მამაცნი მეომარნი და თვით ბერძნები-კი გემებზე შესხდნენ, ვითომ სახლისკენ გასამგზავრებლად. ეს იმ აზრით მოიქმედეს, რომ რაა—ხის ცხენი ბრიყვმა ტროადლებმა ქალაქში შეიყვანონ და ძღვნათ მიართვან ღვთაებას. გამოდგა მათ შორის ერთი გონიერი კაცი და სთქვა: ,,მეშინია დონაელების საჩუქარისაო!‘‘, ე. ი. სასიკეთოს ჩვენ იგინი არაფერს დაგვიტოვებდნენო. მაგრამ კაცმა ყური მას არ ათხოვა. ცხენი გალავანში შეიტანეს; ღამე მეომარნი იქიდამ გამოვიდნენ, გალავანის კარი გაუღეს იქვე მიმალულ ბერძნებს, რომელთაც აიკლეს მხოლოდ ამ ხერხით საბრალო ტროადი.

აი რათ მომაგონდა ეს ამბავი. 186 №-ში ,,ტფილ. ფურც.‘‘ გამომდგარა ვიღაც ,,არა ქუთაისური‘‘ (ასე აწერს ხელს სტატიაზე) და მზრუნველობას და გულ-შემატ[illegible] გრძნობებს იჩენს ქუთაისისადმი; მაგრამ დახეთ, მკითხველო, საიდან იწყებს: ესაო ბ. მურადოვი არ დააყენეს გამგეობის წევრადაო და ყოველივე უბედურება ეხლანდელ გამგეობისა აქედამ წარმოსდგებაო. აი მაგალითად, თეატრის გადაკეთება ერთობ ძვირად დაუჯდაო, იქიდამ შემოსავალი ნაჩვენები არ არისო, ბალახვანის ქუჩა ისე გააკეთესო, რომ ქალაქის ჯიბიდამ სამასი თუმანი დაიხარჯაო.

საკვირველია სწორედ. თვით იმ ბ. მურადოვის წევრობის დროს ისე

ნებული წერილი დასტამბულია „ივერიის“ 149 №-ში და იწყობა ასე: ,,ჯერ იყო და ვჩიოდით, რომ ჩვენის თავად-აზნაურობის თაოსნობით მოხდენილმა გამოკვლევამ მთელი ქიზიყი რკინის გზას ააცდინაო, რომ უფრო მჭიდროდ დასახლებული ნაწილი კახეთისა მოკლებულ იქნება რკინის გზასაო; ახლაც მსგავსივე გვემართება‘‘. მოყვანილ ადგილიდამ სჩანს, რომ მე მომჩივარი ვიყავი, როცა თავად-აზნაურობის თაოსნობით მომხდარმა გამოკვლევამ ქიზიყი რკინის გზას აშორა, ხოლო ახლა ვჩივი, რომ ახალმა გამოკვლევამ რკინის გზა ააცდინა მთელ გარეთ-კახეთს, რომელიც შესდგება ორი-სამი სოფლიდამ-კი არა, როგორც ცრუობს ბ-ნი ქიზიყელი, ამდენ 24 დიდ სოფლისაგან და ამ სოფლების სახელებიც ჩამოთვლილია იმავე წერილში. რისთვის დასჭირდა ბ-ნს ქიზიყელს ამ უცნაურის ცილის მოგონება, ხომ არ შეიძლება დავაბრალოთ ასეთს ,,ჩვენის ეკონომიურის ყოფა-მდგომარეობის‘‘ მცოდნეს გაუგებრობა, თუ ჩემი წერილიდამ მოყვანილი ადგილი ცხადი, გარკვეული არ იყო, იმავე წერილში მეორე ადგილას ვამბობ ,,თუ გზის მიმართულება იგივე დარჩებოდა, გარეთ-კახეთში, ჩალაუბნამდის, როგორც თავად-აზნაურობის გამოკვლევამ აღნიშნა, (იმ გამოკვლევით ჩალაუბანში უბრუნდებოდა გზა და შიგნით-კახეთში შედიოდა ბაკურციხეზედ ,,ჩალაუბნამდის‘‘, იმას აღნიშნავს, რომ ძველი გამოკვლევა მოსაწონებელი იყო ამ სოფლამდის, ამ სოფლის შემდეგ-კი იგი უხეირო მიმართულებას იღებდა, ქიზიყს გზას აშორებდა). გზა 50 ვერსით შემოკლდებოდა და ამის გარდა, რაც უფრო საყურადღებოა, ზემორე ჩამოთვლილი 24 დიდი სოფელი და სხვა წვრილი სოფლებიც რკინის გზით ისარგებლებდნენ“. აქედამ მაინც გაიგებდა, რომ თავად-აზნაურობის თაოსნობით მომხდარ გამოკვლევას მარტო ტფილისიდამ ჩალაუბნამდის ვიწონებდი. ესეც რომ არ იყოს, ბ-ნი ქიზიყელი თვის წერილში იხსენიებს, რომ როცა თავად-აზნაურობის თაოსნობით გამოკვლევამ ააცდინა ქიზიყს რკინის გზა, „იმ ხანებშივე დაიბეჭდა გაზეთებში საყურადღებო წერილები რამდენიმე ქიზიყელისა, რომელნიც საგრძნობლად და საქმის ყოველ მხრიულის ცოდნით ამტკიცებდნენ სტატისტიურის ცნობათა დამოწმებით, რომ სიღნაღის მაზრა-ქიზიყი, თელავის მაზრაზედ ბევრით მეტია მცხოვრებელთა რიცხვითაც, ვენახ-ბაღების რაოდენობითაც, სულადის მოსავლითაც, ოთხ-ფეხ საქონლის რაოდენობითაც, ბუნების სხვა სიმდიდრითაც და ამისათვის მიუტევებელი ცოდვა იქმნება, ქიზიყს რომ ააცდინონ რკინის გზა და მარტო თელავის მაზრისათვის გააკეთონო და, რაკი ეს წერილები ჰხსომებია, შეიძლება, ისიც ახსოვდა, რომ ზოგიერთი იმ წერილებთაგანი ჩემი იყო და იმიტომ ვიწყობ ჩემს წერილს სიტყვებით: „ჯერ იყო და ვჩიოდით‘‘ და სხვ.

ყველა ეს ერთად და თვითეული ცალკ-ცალკე სულ იმის მოწამენი იყვნენ, არიან და იქმნებიან, რომ მე რკინის გზის ქიზიყზედ გატარებისა დიდი მოწადინებული ვიყავი, ვარ და ვიქმნები და ერთს წერილში ჩემგან აღნიშნული ხაზი ისე იყო, რომ ზედ ქვემო-მაჩხაანზედ უნდა გაევლო, სწორედ ისე, როგორც ახლა არის ნაამბობი ბ-ნი ქიზიყელის წერილში ბ-ნი რომანოვის გამოკვლევაზედ, მაგრამ ბ-ნს ქიზიყელს მაინც დასჭირდა ცილის წამება. მართალია, ისეთი ,,ჩვენი ეკონომიური ყოფა-მდგომარეობის‘‘ ცოდნა არა მაქვს, როგორც ბ-ნს ქიზიყელსა, მაგრამ დღევანდლამდის ,,მთელ კახეთ-ქიზიყის‘‘ ერთ მესამედ ნაწილად გარედ კახეთი მიმაჩნია, დღეს გავიგე ბ-ნი ქიზიყელიდამ, რომ გარეთ კახეთში მარტო სამიოდე სოფელი ყოფილა: ,,საგარეჯო, ხაშმი და სხვ.‘‘ და რომ ამ ,,სამიოდე სოფლის, ოციოდე ურემზე დასადები საქონელ-ნაწარმოებისათვის‘‘, საჭირო არა ყოფილა რკინის გზა და თუ ვინიცობაა, გარეთ-კახეთზედაც გაივლის რკინის გზა, ,,მაშინ ხომ, ერიჰააა!... მთელ დედამიწის ზურგზედ ობობას გაუვალ ჩლასავით გააბ-გამოაბამდნენ რკინის გზებს, საწყალ მეურმეს, მეფურგუნეს, მეპოსკეს, ნედროგეს, მეკაჩკეს, მედილიჟნეს და მეფაიტონეს ცხოვრების ლუკმას გაუქრობდნენ და რკინის გზით დასრესილ ცხოველთა დასაფლავებას ვეღარ აუვიდოდნენ‘‘. მე ისე ღრმად არ მესმოდა ,,ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა‘‘, რომ შემეგნო რამდენი საქონელი გაისრისებოდა რკინის გზით, რომ იმათ დასაფლავებას ვერ აუვიდოდით, რომ ამოდენა მუშა ხელი სრულიად ულუკმა პურო დარჩებოდა, თუ შეცდომით გარეთ-კახეთზედ გაივლიდა რკინის გზა. მე-კი მგონია, უბადრუკსა და ,,ჩვენი ეკონომიური ყოფა-მდგომარეობის‘‘ უვიცსა, რომ სოგუთ-ბულახის ჩადგურის მაგიერ ტფილისის სადგურთან შეერთებინათ უკეთესი იქმნებოდა, რადგანაც ტფილისი, როგორც საქართველოს სავაჭრო შუაგული ადგილი უფრო გააცხოველებდა ვაჭრობას, და წარმოება—მრეწველობისა—ტფილისი, როგორც საქართველოს გონებითი სიმდიდრის უდიდესი სალარო, უხვად უნაწილებდა თვისი საუნჯიდამ პროვინციასა და ტფილისი, როგორც გამგებელი მთელი საქართველოსი, თვისი სიახლოვით გამგებლობას გაასამართლიანებდა პროვინციაშიაც. დიახ, ბ-ნო რედაქტორო, ჩემი უმეცრება იმით მტკიცდება, რომ სოგუთ-ბულახის სადგურს, რომელიც ტფილისიდამ 55 ვერსით მოშორებულია და საიდამაც რკინის გზამ 70 ვერსი კიდევ უდაბური ადგილი უნდა გაიაროს, ვამჯობინე ტფილისის ავლაბრის სადგური და 70 ვერსი უდაბურს ადგილს გარეთ-კახეთის ჩამწკრივებული სოფლები, რომელთაგან 25 სოფელი 200 კომლიანზედ ნაკლები არ არის და ზოგში 700—800 კომლია. ამასთან თითქმის სარგებლობა მთელი გარეთ კახეთის ტყით, რომელიც გაშენებულია მთელი ცივ-გომბორის მთა-გრეხილის სამხრეთ მხარეზედ და რომელსაც 60 ვერსზედ მეტი სიგრძე აქვს და მცხოვრებლების ნაწარმოები? რაოდენობით თუ არ აღემატება ,,მთელი კახეთ-ქიზიყის‘‘ მესამედსა, ნაკლები არასოდეს არ იქმნება. რაც შეეხება ,,ბაქო-ერევნის გუბერნიების‘‘ დაახლოვებას, უნდა აქაც ჩემი უვიცობა ვაღიარო; მართალია, მარტო ქიზიყს უახლოვებს 20 ვერსითა, მაგრამ გარეთ-კახეთს სრულიად აშორებს და შიგნით ზემო კახეთს აშორებს ტფილისზედ 50 ვერსით. ამ პირობებში მე ვარჩიე, ქიზიყი ბაქო-ერევნის გუბერნიების 20 ვერსით დაჰშორებოდა და მაგიერად ტფილისს, ქართლსა და იმერეთს 25—30 ვერსით დაახლოვებოდა, გარეთ-კახეთის 24 სოფელი ჰღირსებოდა რკინის გზას, და შიგნით ზემო-კახეთი ტფილისს, ქართლს და იმერეთს 50 ვერსით დაახლოვებოდა და გარეთ-კახეთზე გაევლო, რომელთანაც შიგნით კახეთს დიდი ეკონომიური დამოკიდებულება აქვს. ნუ თუ ცოდვად ჩამეთვლება, რომ ქიზიყისათვის, გარეთ-კახეთისათვის ერთნაირად სიკეთე მოვინდომოთ? ახლა თქვენ გადასწყვიტეთ, ბ-ნო რედაქტორო, ვის უფრო შეჰფერის ნათქვამი, ქაჩალს რომ ჰკითხეს: ,,ხელმწიფობა რომ მოგცენ რას იზამდიო? ჩემი ქეცის მომრჩენს დავარჩობდიო‘‘.

ნადიკვრელი.

* * *

რებულად დაიხარჯა 15 ათასი მანათი საბრალო ხოლერიანებზედ, რომ ეჭვი შეეპარათ ქუთათურებს—ასე მოკლე დროს და ისე ცოტა ავადმყოფებზე (100 კაცზე ცოტა მეტი იყო) ან იმის ნახევარი რად უნდა დახარჯულიყოვო. მაგრამ რადგან საგანგებოთ ამ საგნისათვის დანიშნულ კომისიამ განიხილა ის საქმე და არა აღმოჩნდა-რა ხელ-მოსაჭიდებელი, დავიწყებას მიეცა იგი.

ასევე მოხდა იმ ხსენებულ ბალახვანის ქუჩის შესახებაც და თეატრისაც. ორი საგანგებო კომისია იყო ამორჩეული, რომელთაც დაწვრილებით გამოიკვლიეს ეს საქმე და დაინახეს, რომ არავითარი ბოროტმოქმედება ან უზრუნველობა არ ყოფილა იმ საქმეებში და გათავდა ამით, მაგრამ ზოგიერთებისათვის, თურმე, არ გათავებულა და ჩხირკედელაობას არ იშლიან.

შეიძლება ის ვაჟბატონი ,,არც ქუთათური'' იყო მართლა, არც გურელი და არც სხვა ვინმე, მაგრამ მის წადილს ნათლად ვხედავთ და ამიტომ მოვახსენებთ, რომ ბ. ნუ გიკვირსთ, თუ ქუთაისში გამგეობის წევრად ბ. მურადიანცი არ ავირჩიეთ და მის მოთავეთ ბ. ალიბეგიანცი. თუ გაქვსთ სხვა რამ საფუძვლიანი სათქმელი, ისა ბრძანოთ, უჯობესია, თორემ იმას გვათქმევინებთ, რაც ამ წერილის თავში ვსთქვი: „timeo danaos et dona ferentes“, ე. ი. თქვენის რჩევის და მზრუნველობისაც გვეშინია-მეთქი და სათქმელი-კი მართლა ბევრი რამ არის, მაგრამ ამისათვის სხვა დროს მოვიცალოთ.

ქუთათური.

*** **გემატი.** (რკინის გზა). საოცარი და თავხედური ავაზაკობა რკინის გზის მატარებელზე. 23—24 აგვისტოს, ნაშუაღამევის პირველ საათზე, სადგურ გერატ და კიუროკის შუა სახალხო მატარებლის № 248 ვაგონში უეცრათ გაისმა ყვირილი: ,,არიქა, გვიშველეთ, ყაჩაღები ვაგონში გვიცვივდებიანო!'' ყველა მგზავრები შეშინებულები წამოხტნენ და ესწრაფებოდნენ მეორე ვაგონში გადასულიყვნენ, ზოგიერთები გასვლას რომ ვერ ახერხებდნენ, შეშლილებივით დარბოდნენ ვაგონში. მახლობელ ვაგონში მყოფმა ს. ბაქრაძე ყვირილზედ ,,ყაჩაღებიო'' გამოვიდა ამ ვაგონში, გასაგებლათ, თუ რა ხდებაო; ჩეამჩნია თუ არა ს. ბაქრაძე კონდუქტორმა ყვირილით მიმართა: ,,ერთი ნახეთ, კონდუქტორი მოგვიკლესო!'' და გაუძღვა პატარა ფარნით. ს. ბაქრაძემ შეამჩნია ფანჯრიდან, რომ ვაგონის შემოსავლელთან კიბეზედ ორი თათარი დგას, ერთს ხანჯალი უჭირავს, და კარებს ძალზე სცემს, რომ შემოანგრიოს და შემოვარდეს შიგ. კარების შიგნით ვასავლელში-კი ყვირიან: ,,მიშველეთო'', ს. ბაქრაძემ ამოიღო რევოლვერი და დაუმიზნა ფანჯრიდან თათრებს სიტყვებით:—,,გადადით, ჩამოგვეცალეთ, თორემ უეჭველად გესვრი რევოლვერსაო!''. ამ სიტყვებზედ თათრებმა უფრო გაშხეცებით დაუწყეს კონდუქტორს ცემა, კონდუქტორი მათ ჯოხით იგერებდა და თან კარებს აწვებოდა, რომ არ შემოცვივდნენო. ბაქრაძემ სცადა, ჯერ ტყვილად ესროლა რევოლვერი, იქნება შეშინდნენო, მაგრამ რევოლვერის ხმაზედ მეორე თათარმა, რომელიც აქამდის ისე იდგა, გადმოიღო თოფი და დაადო ბაქრაძეს გულზე. მაშინ უკანასკნელმა მისცა პირ და პირ თათრებისკენ და გაისროლა ამის შემდეგ ბაქრაძემ დაიწყო ყვირილი: ,,ვისაც იარაღი გაქვსთ, მოგვეშველეთო!'' მაგრამ ყვირილზედ არავინ გამოჩნდა· ერთი თათართაგანი გადავარდა უკან, მეორე თავისით ჩამოხტა. ყველა მიხვდა, რომ ყაჩაღი დაიჭრა და თან და თან დამშვიდდნენ ბოლოს გამოჩნდა ჟანდარმიც და შეუდგა მგზავრების ჩვენებების ჩაწერას ოქმის შესადგენათ.

*** **ქ. ქუთაისი.** უცნაური დედა. ერთი აქ კარგად ცნობილი გონება-შერყეული ქალია ემილია, რომლის მიზეზითაც შარშან ურიების არეულობა მოხდა, ვიღაც უნამუსო და უზნეო ვაჟბატონისაგან მას შვილი მისცემია. ეს გიჟი ქალი დაათრევს შვილს სადაც მოხდება და ყველას შესჩივის: ,,შენ გააკეთე და მოვლა არ უნდაო!'' ქალი, როგორც ზემოთა ვსთქვით, გიჟია და ადვილად შეიძლება სადმე დაარჩოს. ჩვენ აკვნითა და დიდის პატივით ვერ გაგვიზრდია შვილები და შეშლილის გაზრდილი რა უნდა იყოს! ამისთვის კეთილი საქმე იქნება ადმინისტრაცია თუ საქველ-მოქმედო საზოგადოება გამოართმევდეს ბავშს და ჩააბარებდეს ვისმეს გასაზრდელად, ან მისცემდეს საშვილებლად, თორემ ნათქვამია: ხიფათს თავი არა სტკივაო. გონება შერყეული ქალი ერთს ცოდოს მეორე ცოდოსაც ჩაიყოლებს და ბავშს რასმე შეამთხვევს.

გურულ-მეგრელი.

რედაქციისაგან

ჩვენთა მოამბეთა საყურადღებოდ. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის სათაურშივე გამოცხადებული გვაქვს, რომ რედაქცია არ კისრულობს უსახელო მოამბეთა წერილების ბეჭდვას, ჩვენ მაინც ხშირად მოგვდის ხელ-მოუწერავი წერილები ზოგჯერ ფსევდონიმების და ზოგჯერ მარტო თითო-ოროლა ასოების მოწერით. ამასთანავე უსახელო ავტორები საყვედურის წერილებსაც-კი გვწერენ და თან გვთხოვენ მიზეზი შეგვატყობინეთო და ასე გასინჯეთ ამისთანა წერილებსაც არ აწერენ თავიანთ ვინაობას. ამიტომ ვიმეორებთ ჩვენს თხოვნას და ყველა მოამბეთ ვსთხოვთ, ყოველ წერილს უთუოდ მოაწერონ თავიანთი ვინაობა: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი (ადრესი).

ამ ჟამად, სანამ თავის ვინაობას არ შეგვატყობინებენ, არ დაიბეჭდება შემდეგი უსახელო წერილები:

ბათომიდან ილიკო ჰ—ძესი
ოზურგეთიდან „შრომის მოყვარესი“.
ქუთაისიდან მეთვალყურესი.
სამტრედიიდან მგზავრისა.

თეატრის მატიანე

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი), საქველ მოქმედო წარმოდგენა. გასულ კვირას საქველ-მოქმედოთ სცენის მოყვარეებმა საგანგებოთ ამ წარმოდგენისათვის გაკეთებულ ფარდულში წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს ვალერიან გუნიას კომედიები: „მონადირე“ და «არც აქეთ, არც იქით''. დასასრულ დივერტისმენტი. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. გარნა ლექსები სულ არ წაეკითხათ ჯობდა, რადგან წიგნიდან არ კითხულობდნენ და ზეპირათ-კი არ ცოდნიათ. საზოგადოება ბლომათ დასწრო. შემოსავალი 47 მანათამდე იყო. დიდი მადლობის ღირსია, ვინც მონაწილეობას ღებულობდა ამ წარმოდგენაში. სასურველია, წარმოდგენები ხშირ-ხშირად გ იმართოს, როგორც ერთი საუკეთესო საშუალება ხალხის გონებრივი გასართობი.

◆

სამეცნიერო ამბები

კოცნა ძველად. კოცნა, როგორც გამომხატველი სიყვარულისა და თანაგრძნობისა, მხოლოდ ამ ბოლო საუკუნოებში შემოვიდა ხმარებაში. არც ჰომეროსს, არც გეზიოდს ჩვენებურად არ ესმით სიყვარული. გექტორი არა ჰკოცნის ანდრომახას საუკუნოდ განშორების დროს, არც პარისი ჰკოცნის თავისს მშვენიერს ელენეს; სახელოვანი, მოსიყვარულე ადისევი არც-კი იცოდა კოცნა რა იყო და დიდი ხნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნების დროს არც-კი ჰკოცნის დას და საყვარელს მეუღლეს, მხოლოდ ეხვევა და ისე ესიყვარულება. ზენდურს ენაზედ და იეროგლიფებში არც-კი არის სიტყვა ,,კოცნა''. ცნობილია აგრეთვე, რომ იაპონელებში ჯერ არც-კი იციან კოცნა. საიდგან გაჩნდა კოცნა? ცეზარ ლომბროზო—გამოჩენილი ფიზიოლოგი ამბობს, რომ ეს ჩვეულება ცეცხლის მიწის (ამერიკაში) მცხოვრებთაგან არის გადმოღებული, რომლებშიაც კოცნა დედის მზრუნველობას ნიშნავს. ცეცხლის მიწის მცხოვრებლებმა არც-კი იციან წყლის ჭურჭელი, პირდაპირ დაეწაფებიან ხოლმე წყალს და ისე სვამენ. პატარა ბავშებისთვის-კი ჩაიყენებენ ხოლმე პირში წყალს, მერე პირი-პირს მიადებენ და ისე ასმევენ ხოლმე, როგორც ფრინველები თავიანთს ბარტყებს. ამ ნაირად პირის-პირთან მიდებიდგან წარმოსდგა კოცნა და შემდეგში საზოგადო ჩვეულებათ გარდაიქცაო, ამბობს ლომბროზო.

◆

სხვა და სხვა ამბები

უძველესი უნივერსიტეტი ქვეყანაზედ. პირველი უნივერსიტეტი მთელ ქვეყანაზედ დაარსდა ფეცში მაროკკოს სამეფოში. სასწავლებლის დაარსება მეათე საუკუნეში თავს იდვა ერთმა ტუნისელმა ქალმა ფატმამ, რომელსაც წმიდანად თვლიან. ეს უნივერსიტეტი ერთად ერთი წყარო იყო, სადაც მეათე და მეთერთმეტე საუკუნოებში ცოდნას იძენდნენ ყველა არაბნი მუსულმანნი და ქრისტიანები. აქ იზდებოდნენ ტუნისელნი, ეგვიპტელნი, ტრიპოლელნი, კონგოსელნი, ანდალუზიელნი, საფრანგეთის და ინგლისის ყმაწვილები, სანამ დაარსდებოდნენ უნივერსიტეტები პარიზში, ოქსფორდში და კემბრიჯში.

—

ვინ გამოიგონა პირველად ქოლგა? ეს საკითხი ჯერ-ჯერობით არ არის საკმაოდ გამორკვეული, მაგრამ ჰფიქრობენ-კი, რომ ქოლგა ევროპაში ჩინეთიდამ უნდა იყოს პირველად მოტანილი. ევროპაში მეთვრამეტე საუკუნის შუამდე არ იყო ქოლგა შემოღებული. ინგლისის მოგზაურმა ჯონგანვეიმ ჩამოიტანა პირველად ქოლგა აღმოსავლეთიდამ; ხალხი იმდენად დააფრთხო მაშინ ამ ახალმა სამკაულმა კაცისამ, რომ განვაის ქუჩა-ქუჩა დასდევდნენ წივილ-კივილითა და ქვების სროლით; განვაის უძნელდებოდა ამის გამო ქუჩაზედ გამოსვლა. თუ მას რამოდენიმე პოლიციელი დამცველად არ გამოჰყვებოდა ხოლმე. შემდეგ თან-და-თან შეეჩვია ხალხი ქოლგას და ბოლოს, როგორც ხედავთ, მრიელ გავრცელდა მთელს დედამიწაზე მისი ხმარება.

◆

წვრილი ამბავი

64,400 მანათიანი ჯილდო. მერმის 1898 წელს ნიუიორკში დანიშნული კრება (კონგრესი) ველოსიპედით მოსიარულეთა. შესანიშნავმა მოსიარულემ ასტორმა დანიშნა ჯილდოთ 64,400 მანათი იმისთვის ვინც მთელ ქვეყანაზე პირველი მოსიარულე იქნება ველოსიპედით.

—

მეომარი ქალი ოსმალოს ჯარში. მაკედონელი გაზეთები მოგვითხრობენ შემდეგ ახირებულს შემთხვევას: სოლონიკის სამხედრო საავადმყოფოში მიუყვანიათ ავადმყოფი ჯარის-კაცი მახმედ-ბეუსხე, რომელსაც ფეხში მიუღია ჭრილობა დომოკოსში ბრძოლის დროს. ეს ჯარის-კაცი რაღაც უცნაურად ირჯებოდა და ექიმის ყურადღება მიიპყრო; დაუწყეს თვალ-ყურის დევნება და აღმოჩნდა, რომ ჯარის-კაცი სარუხანელი—ქალი ყოფილა, კაცის ტანთ-საცმელში შემოსილა და წამოსულა მტერთან საბრძოლად სხვა ჯარის-კაცებთან ერთად.

ახალი ყოველ-თვიური ჟურნალი
,,კ რ ე ბ უ ლ ი“
უკვე იბეჭდება და ხელის-მომწერლებს დაურიგდება 1-ლ ენკენისთვეს.
წელიწადი ითვლება ენკენისთვიდან ენკენისთვემდე.
წლიური ფასი ტფილისში **6** მანეთია, ხოლო სხვა ქალაქებ-დაბა-სოფლებში გაგზავნით—**7** მან., ნახევარი წლით **4** მან.
ჟურნალი ცალკე ნომრობით არ გაიყიდება.

ხელის მოწერა მიიღება

ტბილისში: „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ან-ტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.
იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავლის“ მაღაზიაში.
ქუთაისში: ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტრ. ლალიძესთან.
ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლკოვისთან და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: სოფრონ მგალობლიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ქ-ნ ნინო ბერეჟიანთან, იოსებ კოხრეიძესთან და ვლადიმერ ახობაძესთან.
ოზურგეთში: კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ლანჩხუთში—„შუამავალში“, კ. თავართქილაძესთან.
საჯილაოში—„შუამავალში“, მასთანვე.
საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.
ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.
ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
წიფაში: კირილე ხარაძესთან.
ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.
სენაკში: ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძესთან, სამსონ ყიფიანთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.
განჯაში. ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლომონ დოლიძესთან.
ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.
კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.
ხონში: ივანე შარაშიძესთან.
გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.
თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.
სიღნაღში. დ. მაჩხანელთან დეპოში და თავ. დ. ჩოლოყაშვილთან.
ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.
ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან-
ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.
მოლითში: პავლე კურცხალიასთან.
ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.
გუდაუთში (სოხუმის ოლქში) გიორგი ბალდავაძესთან.
ალსტაფაში მიხეილ გორდაძესთან.
შორაპანში: სამსონ ლუკას ძე ყაზაიშვილთან.
თიანეთში: იოსებ ცისკარაშვილთან.
ბ.ბ. აგენტებს ვთხოვთ ხელის-მომწერლების სიები დროზე გამოგვიგზავონ.
რედაქცია იმყოფება მუხრან-ბატონის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე
ადრესი: **Въ Тифлисъ.**
Въ Редакцію грузинскаго журнала
,,Кребули“.
Головинскій проспектъ, домъ кн. Мухранскаго.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Августа 1897 г.
სტამბა ქ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია**